პროგრამაში და მოსარგებლედ ცნობა რეგისტრაციის თარიღიდან, სააგენტოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.";

5. **,,დანართი 9.2 - ანტენატალური მეთვალყურეობა" პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება წარმოებს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) - „ანტენატალური მეთვალყურეობა ფიზიოლოგიურად მიმდინარე ორსულობის დროს" - შესაბამისად. 2018 წლის 1 თებერვლამდე დარეგისტრირებული ორსულებისთვის კომპონენტით იფარება 4 ანტენატალური ვიზიტი (ორსულობის 13 0/7 კვირამდე, 18 0/7-20 6/7, 30 0/7-32 6/7 და 34 0/7-36 6/7-38 6/7 კვირის ვადაზე), რაც მოიცავს:

1	პირველი ვიზიტი	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას ბ) თერაპევტის კონსულტაციას გ) სისხლის საერთო ანალიზს დ) შარდის საერთო ანალიზს ე) სიფილისის დიაგნოსტიკას სწრაფი/მარტივი მეთოდით ვ) B და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკას სწრაფი/მარტივი მეთოდით ზ)აივ-ანტისხეულების განსაზღვრას სწრაფი/მარტივი მეთოდით თ) სისხლის ჯგუფისა და რეზუს-კუთვნილების განსაზღვრას ი) საშოს ნაცხის ბაქტერიოსკოპულ გამოკვლევას
2	მეორე ვიზიტი	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას ბ) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპიას (ნაყოფის სტრუქტურული ანომალიების გამოსავლენად)
3	მესამე ვიზიტი	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას ბ) ცილის რაოდენობის განსაზღვრას შარდში გ) ჰემოგლობინის განსაზღვრას სისხლში დ) სიფილისის დიაგნოსტიკას სწრაფი/მარტივი მეთოდით
4	მეოთხე ვიზიტი	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას ბ) ცილის რაოდენობის განსაზღვრას შარდში გ) ჰემოგლობინის განსაზღვრას სისხლში

2. 2018 წლის 1 თებერვლიდან დარეგისტრირებული ორსულებისათვის, კომპონენტით იფარება 8 ანტენატალური ვიზიტი (ორსულობის 13 0/7 კვირამდე, 18 0/7 – 20 6/7, 26 0/7 -26 6/7, 30 0/7- 30 6/7, 34 0/7- 34 6/7, 36 0/7- 36 6/7, 38 0/7- 38 6/7 და 40 0/7 -40 6/7 კვირის ვადაზე), რაც მოიცავს:

1	პირველი ვიზიტი	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია ბ) სისხლის საერთო ანალიზი გ) შარდის კულტურალური გამოკვლევა დ)სისხლის ჯგუფისა და რეზუს-კუთვნილების განსაზღვრა ე) რეზუს-ანტისხეულებზე ტესტირება რეზუს-უარყოფითი სისხლის კუთვნილების ქალებში ვ) სკრინინგული ტესტები (B ჰეპატიტის ვირუსი, C-ჰეპატიტის ვირუსი, აივ ინფექცია და სიფილისი)